ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

VII 2015

ეკატერინე ქიტაკინაძე

ფრონეს ხეობის ტოპონიმია 1715 წლის რუისის დავთარში

ტოპონიმების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოსახლეობა და მათი ლექსიკის მრავალფეროვნება. გეოგრაფიული სახელწოდება უკავშირდება კონკრეტულ შინაარსს, ქვეყნის ისტორიასა და ხალხის ყოფა-ცხოვრებას. ამიტომ ტოპონიმების გამოკვლევასა და შესწავლას, როგორც მოწმეს ენის ისტორიული პროცესისას, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

ფრონეს ხეობის ტოპონიმების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა რუისის სამწყსოს დავთარი ანუ მატიანე რუისისა, რომელიც 1715 წელს შეუდგენია ნიკოლოზ მროველს ორბელიშვილს ანუ ყაფლანიშვილს. ეს დავთარი დაიბეჭდა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის წიგნში "არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები" (წიგნი I, ელექტრონული სტამბა, გამომცემელი ქართველთ ამხანაგობისა). ექვთიმე თაყაიშვილის შეფასებით: "ისტორიული, სტატისტიკური და იურიდიული მნიშვნელობა ამ დავთრისა ეჭვგარეშეა, ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ მთლათ მოვიყვანოთ აქ ეს ნაშთი საქართველოს სიძველენისა" (ე. თაყაიშვილი, 1907, გვ. 126).

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რუისის სამწყსოს შეადგენდა მთელი ზემო ქართლი ანუ უმეტესი ნაწილი ძველი შიდა ქართლისა. ფრონეს ხეობა, როგორც ზემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, შედიოდა რუისის სამწყსოში.

ფრონეთა ხეობის საზღვრებს ვახუშტი ბაგრატიონი XVIII საუკუნის შუა წლების მდგომარეობის მიხედვით ასე წარმოგვიდგენს: "ქვიშხეთ ზეით, ლიახვის მდინარეს იქით, ტაშისკარამდე, რომელნიცა მდინარე-ჴევნი აღვწერეთ, უწოდებენ, თჳნიერ შოლისა, ფრონეთა" (ვ. ბაგრატიონი, 1941, გვ. 81). როგორც ჩანს, მას თავის გეოგრაფიულ რუკაზე დასახელებული აქვს: დვანის ფრონე, ალის ფრონე და ფცის ფრონე, რაც ბუნებრივად გულისხმობს აღმოსავლეთით დვანისწყალს (ახლანდელი მდ. ფრონე), ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებსა და ზნაურის რაიონს (ხეობა); ე. ი. ახლანდელი ხაშურის რაიონი მთლიანად, ქარელის რაიონის დასავლეთი და ზნაურის რაიონის სამხრეთის ზონა (ალ. ღლონტი, 1988, გვ. 3).

რუისის დავთარში ჩამოთვლილია ფრონეს ხეობის 84 სოფელი და თითოეულში აღნუსხულია იქ მოსახლე გვარები. დავთარში აღწერილი სოფლები გვხვდება ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში "აღწერა სამეფოსი საქართველოსი", რომელშიც 1725 წლამდე მონაცემებია შესული (ვ. ბაგრატიონი, 1941, გვ. 79-81). დავთარში დასახელებული სოფლები დასტურდება იოანე ბაგრატიონის მეფე ირაკლისა და მეფე გიორგის დავალებით ჩატარებულ ქართლ-კახეთის 1794-1799 წლების აღწერაში, სადაც ფრონეს ხეობის სოფლები დასახელებულია დვანის, ფცის, ალისა და სურამის წყლის ხეობის მიხედვით (ი. ბაგრატიონი, 1980, გვ. 368-369). რუისის დავთარი საშუალებას გვაძლევს მივადევნოთ

თვალი ფრონეს ხეობის ტოპონიმებს დღევანდელობასთან მიმართებაში. კერძოდ: ტოპონიმები, რომელთა სახელწოდებები არ შეცვლილა, დღესაც ძველი სახელწოდებით დასტურდება; ტოპონიმებში გარკვეული ენობრივი პროცესების შედეგად მოხდა მცირე ცვლილება; ტოპონიმებში სახელწოდება შეცვლილია; ტოპონიმები დღეს აღარ გვხვდება, ზოგი ნასოფლარად ქცეულა.

ქვემო და ზემო ძვიმლეთი. ვახუშტი ასახელებს ფცის ფრონის აღწერისას მძვივლეთს, დღევანდელი **ძვილეთი. ძვილეთი←მძვივლეთი← ძვიმლეთი.** აქ გვხვდება დვანიდან მიმავალი ცნობილი ძვილეთის გზა.

სხლითი. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები მას ასახელებენ ფცის წყლის ხეობის სოფლებში, ახლანდელი **სხლითი,** სახელწოდება არ შეცვლილა.

ფრინევი. ასახელებს ვახუშტი ბაგრატიონიც, ფცის ფრონეს ხეობაში მდებარეობს, სახელწოდება არ შეცვლილა. იოანე ბაგრატიონის "ქართლ-კახეთის აღწერაში" არ დასტურდება (ი. ბაგრატიონი, 1980, გვ. 368-369).

დვანი. მდებარეობს დვანის წყლის პირას, ქარელის რაიონია, დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების ნაშრომებშიც. სახელწოდება არ შეცვლილა.

არკნითი. ვახუშტი ასახელებს ერკნეთს, იოანე ბაგრატიონი - არკნებს, დღევანდელი **არკნეთი**, მდებარეობს დვანის ფრონეს ხეობაში. **არკნეთი ← არკნითი.** -ით/-ეთ სუფიქსთა მონაცვლეობის ფაქტი აღნიშნულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში: "ით გვხვდება როგორც ვარიანტი ეთ-ისა რამდენიმე სოფლის სახელში: ღვანკ-ით-ი, როკ-ით-ი, მოლ-ით-ი, ბეღლ-ით-ი, ხრე-ით-ი (ღრე-ით-ი? სადაურობის სახელია: ხრე-ვ-ელ-ი) და სხვ. ამგვარადვეა ნაწარმოები: პირმზ-ით-ი და სომხ-ით-ი-ც"(ა. შანიძე, 1980, გვ. 139). საგულისხმოა –ეთ / -ით სუფიქსთა მონაცვლეობა ერთსა და იმავე ტოპონიმიურ ფუძესთან, ვფიქრობთ, ეს სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

ნული. აღნიშნული სახელწოდებით დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების ნაშრომებში, სახელწოდება არ შეცვლილა, მდებარეობს ფრონეს ხეობაში.

ღვერთეთი. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები ასახელებენ **ღვედრეთს,** დღეს ჰქვია **ღვერთევი,** მდებარეობს დვანის ფრონეს ხეობაში.

თორმანეული. სახელწოდება არ შეცვლილა, ამ სახელწოდებით მეორდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან, დვანის ფრონეს ხეობაში მდებარეობს.

სოფელი **მდავი** დღეს არ გვხვდება.

ბბეყმარი, უცვლელად დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან, სახელი არ შეცვლილა.

წორბისი, დვანის წყალთან დაკავშირებით ასახელებს ვახუშტი წორბნისს, ხოლო იოანე ბაგრატიონი კი - წორბისს, დღევანდელი **წორბისი.**

ხტანა. ფცის წყალთან დაკავშირებით მას ახსენებს ვახუშტი ბაგრატიონი, ხოლო იოანე ბაგრატიონი კი ასახელებს ხტონას, დღევანდელი **ვახტანა.**

თერეგვანი. სახელწოდება არ შეცვლილა, უცვლელად დასტურდება ის ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების აღწერაში ფცის წყლის ხეობასთან დაკავშირებით.

ოყორა. სახელწოდება არ შეცვლილა, მდებარეობს ფცის წყლის ხეობაში. ამ სახელწოდებით უცვლელად მეორდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან.

ძაღინე. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები ფცის წყალთან ასახელებენ ძაღინას, დღესაც **ძაღინა** ჰქვია. **ძაღინა//ძაღინე.**

ახალშენი. სახელწოდება არ შეცვლილა. საქართველოში ახალშენი გვხვდება ხაშურის, გურჯაანის, ახმეტის, ბათუმის, ხულოსა და გარდაბნის რაიონებში. დამწვარი ახალშენის აღსანიშნავად გაჩნდა სახელწოდება **"ნა-ახალშნ-არ-ი"**.

კუნდას უბანი. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები ფცის წყალთან დაკავშირებით ასახელებენ **ხუნდის უბანს,** ამ სახელწოდებით დღესაც გვხვდება სოფელი ზნაურის რაიონში. რაც შეეხება **კუნდას**, სახნავ ადგილად გვხვდება დვანში, ამავე სახელწოდებიდან არის ნაწარმოები **კუნდავახევი** — წყალი დვანში.

თიღვა. ასევე ასახელებენ ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებიც, დღესაც ამ სახელწოდებით გვხვდება.

ღარისთავი. ფცის წყალთან დაკავშირებით ასახელებენ ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები. დღესაც ამ სახელწოდებით გვხვდება.

შინდარა. აღნიშნული ტოპონიმი მეორდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების აღწერებშიც, დღესაც ამ სახელწოდებით დასტურდება სოფელი ზნაურის რაიონში. **შინდარას მიწები** გვხვდება ქვემო ოქონაში. უბანს ჰქვია შინდარა//შიდარა ხაშურში. შინდარი//შინდარი ადგილი, გზა სოფელ სათივეში (ალ. ღლონტი, 1988, გვ. 78).

მთავარეული. მთვარეული გვხვდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების შრომებში, მთვარეული სათესი ადგილია ზნაურყავში.

მუღნისი. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები ახსენებენ **მუღრისს.** დღესაც გვხვდება ფცის წყალზე სოფელი **მუღრისი,** ზნაურის რაიონში.

სუნისი. ფცის ფრონეს ხეობაში მდებარეობს.

წირეთი. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებიც ასახელებენ ფცის წყალთან დაკავშირებით, დღევანდელი **ნაბაკევი.**

ოქონა. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებიც ასახელებენ იმავე სახელწოდებით მდინარე ფრონესთან დაკავშირებით. ცნობილია ზემო და ქვემო ოქონა ზნაურის რაიონში.

ტყისუბანი. ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს ტყისუბანს, იოანე ბაგრატიონი — ტკსუბანს. დღეს გვხვდება ტყისუბანი.

ბალთა. აღნიშნული სახელწოდებით დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების აღწერებშიც.

ურმასხელი. ვახუშტი ბაგრატიონთან დასახელებულია ურმის-ჭელი, იოანე ბაგრატიონთან — ურმისხელი. სოფელი ამ სახელწოდებით აღარ გვხვდება, მაგრამ დასტურდება სახნავი ადგილის სახელწოდებად სოფელ ბრეძაში.

ფათქინეთი. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან დასტურდება – ბათქინეთი. დღეს გვხვდება **ფათქინეთი.**

მეტეხი. უცვლელად დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან, დღესაც გვხვდება აღნიშნული სახელწოდებით.

ჭვრინისი. ვახუშტი ასახელებს ჭვირნისს, იოანე – ჭურუნისს. დღეს გვხვდება **ჭვრინისი.**

წიფლითი. დღეს ნასოფლარია და სათეს ადგილს წარმოადგენს ფრონეს ხეობაში.

ბეხამი. ტოპონიმი გამქრალია, დღეს აღარ დასტურდება.

ავნევი. ვახუშტი ბატონიშვილიც ასახელებს ავნევს, დღესაც ამ სახელწოდებით გვხვდება, მაგრამ ბოლო პერიოდში გაჩნდა სახელწოდება **ნაავნევარი.** ეს სოფელი დღეს ნანგრევებად არის ქცეული. **ავნევი** ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვისაგან **ნა-ვნ-ევ-ი** (ვნებამიყენებული) ნ-ს დაკარგვით, აქედან **ნა-ავნ-ევ-არ-ი.** წინავითარებას აწარმოებს ორმაგი სუფიქსი (მ. კობერიძე, 2009, გვ. 281).

რუისის სამწყსოს დავთარში აღწერილი ტოპონიმები დღევანდელობასთან მიმართებით ასე გამოიყურება: 1. სახელწოდება არ შეუცვლია ტოპონიმებს: **ავნევი, ბეყმარი, ნული, თორმანეული, თერეგვანი, ოყორა, თიღვა, ოქონა, მეტეხი, ბალთა, ფრინევი, ღარისთავი, შინდარა, წორბისი, დვანი, სხლითი, ჭვრინისი, ავლევი, ავნევი. 2.** გარკვეული ენობრივი პროცესების შედეგად მოხდა მცირე ცვლილება შემდეგ სახელწოდებებში: **ახტანა ძვიმლეთი. 3.** სახელწოდება შეცვლილია: **წირეთი – ნაბაკევი; ტყისუბანი – ზნაურყავი.** 4. ნასოფლარებია: **მდავი, ბეხამი, მთავარყოლი.**

როგორც ვხედავთ, რუისის დავთარში წარმოდგენილი ფრონეს ხეობის სოფელთა სახელწოდებანი შედგენილია ქართული ტოპონიმების შესაბამისად, საწარმოქმნო ენობრივი ელემენტები და აფიქსაცია საერთოა სხვა რეგიონების.

დამოწმებული ლიტერატურა

ვ. ბაგრატიონი, 1941 - ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1973.

ი. ბაგრატიონი, 1980 – ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა: ტოპონიმიკა, II, თბ., 1980.

ე. თაყაიშვილი, 1907 - ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი I, ტფ., 1907.

მ. კობერიძე, 2009 - მ. კობერიძე, ფრონეს ხეობის ქართლურში: გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო კონფერენცია "ახალი მიმართულება განათლებასა და კვლევაში", 2-3 ოქტომბერი, გორი, 2009.

რუისის სამწყოს დავთარი, 1907 - რუისის სამწყოს დავთარი: ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი, I, ტფ. 1907.

ალ. ღლონტი, 1988 - ალ. ღლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმია, თბ., 1938.

ა. შანიძე, 1980 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბ., 1980.

MARIAM KOBERIDZE

FRONI VALLEY TOPONYM IN RUISI BOOK OF 1715

In studying of Froni valley toponyms , one important source is Ruisi flock book or Ruisi Chronicles ,which is made by Nickoloz Mroveli, Orbelishvili or Kaplanishvili. By that time Ruisi flock consisted of whole Zemo Kartli or greater part of Old Shida Kartli. This book was printed in 1907 in Ekvtime Takaishvili's book "Archeological travellings and notes" (book I, electronic typography publisher of Georgian comradeship). According to Ekvtime Takaishvili: "historical ,statistical and legal importance of this book is doubtful, so we think it is important to mention this residue of Georgia's oldness".

Froni Valley , as an important part of Zemo Kartli, was a part of Ruisi flock. Ruisi book represents the description of paying villages and surnames of their residents. This gives us opportunity to follow toponyms of this part of Georgia in connection with modernity.In particular: 1. Toponyms haven't changed their names: Akhalsheni, Avnevi, Bekmari, Nuli, Tormaneuli, Teregvani, Ozhora,Okana,Balta... 2. As a result of some language process a little change happened in toponyms: Arkneti, Vakhtana, Batkineli, Sunisi… 3. By the influence of Ossetian language some changes happened in the following names: Tkisubani → Znaurqavi; 4.Settlements are: Tsipliti, Mdavi, Mtavarzholi, Bekhami.